კარი II
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში საჩივრების განხილვის შედეგები

2014 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 383 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 179 შემოვიდა 2013 წელს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომებზე განხილულ იქნა 313 დისციპლინური საქმე, რომელთაგან:

1. 266 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 84,9%;
2. 17 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 5,4%;
3. 30 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება – 9,6%;
4. 70 საქმეზე მიმდინარეობს დისციპლინარული სამართალწარმოება – 78,3%.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგები

2014 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

გასაჩივრებულ იქნა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული 4 გადაწყვეტილება ადვოკატთათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ. სადიცსიპლინო პალატამ ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა 1 საჩივარი; დარჩა განუხილველი - 2; ხოლო ერთ საქმეზე განხილვა არ დასრულებულა.